

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

„მუხიანი“

ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისთვის
მომზადებული „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (ფასს) მცირე და საშუალო
საწარმოებისათვის“-ის მიხედვით

შპს მუხიანი
ფინანსური ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულად შესრულებაზე;
- ინფორმაციის, მათ შორის სააღრიცხვო პოლიტიკის, ისეთი ფორმით წარდგენაზე, რაც უზრუნველყოფს შესაბამის, სანდო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- წარადგინოს დამატებითი განმარტებები, როდესაც ფასს-ის კონკრეტულ მოთხოვნებთან შესაბამისობა არ არის საკმარისი მომხმარებელს მიაწოდოს ინფორმაცია, რათა მისთვის ცხადი იყოს კონკრეტული ტრანზაქციების, სხვა მოვლენებისა და გარემოებების გავლენა „ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობასა და ფინანსური შედეგებზე“.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- ორგანიზაციაში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი საბუღალტრო ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს ორგანიზაციას ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ასევე ფინანსური ანგარიშგების ფასს-ის მოთხოვნებთან შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- თაღლითობის, შეცდომებისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისთვის ხელმოწერილ იქნა გამოსაშვებად 2023 წლის 26 სექტემბერს.

თანდართული ფინანსური ანგარიშგება შედგენილია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურში წარსადგენად.

დირექტორი
ხელმოწერა




შპს მუხიანი
ფინანსური ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2021

შენიშვნა	საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი	საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი	საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი	
	2021	2020	2019	
მოკლევადიანი აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	1	17,746	32,938	41,685
სავაჭრო მოთხოვნები	2	62,648	74,725	26,995
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი	3	18,134	10,128	39,470
სხვა მიმდინარე აქტივები	4	10	6	10,535
მარაგები	5	46,209	87,901	
სულ მოკლევადიანი აქტივები	144,747	205,698	118,685	
გრძელვადიანი აქტივები				
საინვესტიციო ქონება	6	6,962,775	6,875,474	6,934,306
არამატერიალური აქტივები	7	217	417	617
ძირითადი საშუალებები	8	15,296	47,016	48,943
სულ გრძელვადიანი აქტივები	6,978,288	6,922,907	6,983,866	
სულ აქტივები	7,123,035	7,128,605	7,102,551	
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები	6,180	1,453	2,000	
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები			15,544	
საგადასახადო ვალდებულებები	8,417	11,523	0	
გამოუმუშავებელი შემოსავალი	9	9,696	20,710	17 023
სხვა ვალდებულებები		22,200	0	
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ			180	
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	24,293	55,886	34,747	
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	16,096	0		
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	16,096	0	0	
სულ ვალდებულებები	40,389	55,886	34,747	
საკუთარი კაპიტალი				
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	10	888,693	878,766	834,150
გადაფასების რეზერვი		6,193,953	6,193,953	6,233,654
სულ საკუთარი კაპიტალი	7,082,646	7,072,719	7,067,804	
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	7,123,035	7,128,605	7,102,551	

დირექტორი
ხელმოწერა




შპს მუხიანი
ფინანსური ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ფორმა N2- საკმანძოების შედეგები		შენიშვნა	საანგარიშგებო პერიოდი 2021	საანგარიშგებო პერიოდი 2020
მომსახურების გაწევიდან			2,058,434	1,678,609
სხვა			0	127,119
ნეტო ამონაგები			2,058,434	1,805,728
სხვა შემოსავალი			2400	6394
დასაქმებულთა ანაზღაურება			-1,723,042	-1,488,600
ცვეთა და ამორტიზაცია			-2770	-3524
საპროცენტო ხარჯი :			-2698	-879
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	11		-126,402	-177,269
სულ საოპერაციო ხარჯები			-1.852.512	-1,670,272
საოპერაციო მოგება			205,922	141,850
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან			205,922	141,850
მოგების გადასახადი			-29,399	-20,540
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)			-166,596	-116,395
კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)			878,766	834,150
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში			0	39,701
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს			888,693	878,766

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

კომპანიის მოკლე ისტორია და ძირითადი საკმანძოა

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „მუხიანი“ (ს.კ. 209440130)
რეგისტრირებულია საქართველოში 09.11.1995 წელს.

საზოგადოების დამფუძნებლები 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

მესაკუთრე	პ.ნ.	წილი %
ნანა მეკოკიშვილი	01012006638	6.25%
ზანგური ფანჯილიძე	01019016305	12.50%
როლანდი ჩხაიძე	01002021383	12.50%
იოსებ გრძელიშვილი	01023000757	12.50%
მზია მაჭავარიანი	01024047309	5.75%
ეკატერინე დათუაშვილი	01020009029	12.50%
მაია დუიშვილი	01024000475	6.75%
ჯემალ ნასყიდაშვილი	01025006832	12.50%
ლალი მეკოკიშვილი	01013004791	6.25%
ელისო ზერეკიძე	01002020258	6.25%
შავლეგი მჭედლიშვილი	01002019585	6.25%

შპს მუხიანი
ფინანსური ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ავთანდილ მეგოკიშვილი (პ.ნ 01013031955) გარდაიცვალა. 2021 წელში მისი წილი გადავიდა
ნანა მეგოკიშვილზე (პ.ნ 01012006638).

შპს მუხიანის დირექტორი: რუსუდანი აბდუშელიშვილი (პ.ნ. 01011046641)
სოლომონ კარგაძე, (პ.ნ. 09001001519)

შპს „მუხიანის“ ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საკუთარი არასაცხოვრებელი
შენობების გაქირავება და მართვა. შპს „მუხიანის“ საკუთრებაში არსებული ქონება განთავსებული
ქ. თბილისში, ომარ ხიზანიშვილის ქ. N1-ში.

მომზადების საფუძვლები

ორგანიზაციის თანდართული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური
ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (ფასს) მცირე და საშუალოსაწარმოებისათვის“-ის
მიხედვით.

საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის
ფუნქციონალური ვალუტა, რადგან ის ყველაზე საუკეთესოდ ასახავს კომპანიის ოპერაციებსა და
სამოქმედო გარემოში მომხდარ ეკონომიკური მოვლენების შინაარსს.

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები

კომპანიის მიერ გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია
ქვემოთ. პოლიტიკა გამოიყენება უცვლელად ყველა წლისთვის.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

როდესაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება პირველად აღიარდება, საწარმო
მათ აფასებს გარიგების ფასით (გარიგების დანახარჯების ჩათვლით, ისეთი ფინანსური აქტივებისა
და ვალდებულებებისა გარდა, რომლებიც შემდგომში უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით,
მოგებაში ან ზარალში ასახვით), თუ შეთანხმება, თავისი არსით, არ წარმოადგენს ფინანსურ
ოპერაციას.

საწარმო ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური ვალდებულების ნაწილის) აღიარებას
წყვეტს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ის შესრულდება, ე.ი. როდესაც ხელშეკრულებით
განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

ძირითადი საშუალებები

საწარმო ძირითადი საშუალებების ღირებულებას აქტივად აღიარებს მხოლოდ იმ
შემთხვევაში როდესაც:

ა) მოსალოდნელია, რომ საწარმო მომავალში ამ აქტივის გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ
სარგებელს; და

ბ) საწარმოსათვის შესაძლებელია აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება.

საწარმო ძირითად საშუალებებს თავდაპირველი აღიარებისას აფასებს
თვითღირებულებით. თავდაპირველი შეფასების შემდეგ საწარმო ძირითად საშუალებებს

დირექტორი
ხელმოწერა



შპს მუხიანი
ფინანსური ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

აღრიცხავს დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

ცვეთის დარიცხვა მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხდება წრფივი მეთოდით, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის გათვალისწინებით. ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ როდესაც აქტივი შედის გამოყენებაში.

საწარმო ძირითადი საშუალების აღიარებას წყვეტს:

(ა) გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში; ან

(ბ) როდესაც მისი გამოყენებიდან ან გაყიდვიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი.

საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება საანგარიშგებო პერიოდისათვის შეფასებულია რეალური ღირებულებით, რომელიც განსაზღვრულია სერთიფიცირებული შემფასებლის დასკვნის საფუძველზე.

სავაჭრო მოთხოვნები

მიმდინარე სავაჭრო მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, შემდგომში ისინი საჭიროების შემთხვევაში წარმოდგენილია გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზირებული ღირებულებით. სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი წარმოიშობა მაშინ როდესაც არსებობს ობიექტური მოსაზრება რომ კომპანია ვერ შეძლებს მოთხოვნების მიღებას საწყისი პირობების მიხედვით. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში რეზერვში ცვლილება აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

კაპიტალი

კომპანიის კაპიტალი განისაზღვრება წესდებით, ყოველი ცვლილება წესდებაში ხორციელდება კომპანიის დამფუძნებლების მიერ.

დაგროვილი მოგება მოიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების მოგებას/ზარალს.

დივიდენდები აღირიცხება კაპიტალში იმ პერიოდში, როდესაც გამოცხადდა.

ვალდებულებები

კომპანიას სააღრიცხვო მიზნებისთვის გამიჯნული აქვს გრძელვადიანი და მოკლევადიანი ვალდებულებები.

ამონაგები

საწარმო ამონაგები აფასებს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. რომელიც მცირდება ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობით, ასევე ვადაზე ადრე გადახდასა და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებული ფასდათმობებით.

დირექტორი
ხელმოწერა -----



შპს მუხიანი
ფინანსური ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ხარჯების აღიარება

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

დაბეგვრა

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში მოქმედებს მოგების გადასახადის ახალი მოდელი. ამ მოდელის მთავარი ცვლილება არის ის რომ მოგების გადასახადის გადახდა ხდება დაგროვილი მოგების განაწილებისას. საანგარიშგებო პერიოდი წლის ნაცვლად გახდა თვე. გადასახადის განაკვეთი დარჩა იგივე - 15%. მოგების გადასახადით განაწილებულ მოგებასთან ერთად იბეგრება - სხვაობა კონტრაქტის ღირებულებასა და საბაზრო ფასს შორის; ხარჯები, რომლებიც დაკავშირებული არ არის ეკონომიკურ საქმიანობასთან; საჩუქრები; წარმომადგენლობითი ხარჯები ლიმიტს ზემოთ.

მოგების გადასახადის ახალი მოდელის სპეციფიკიდან გამომდინარე, საანგარიშგებო პერიოდებისთვის, რომელიც დასრულდა 2019, 2020 და 2021 წლების 31 დეკემბერს, საქართველოში რეგისტრირებული კონპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

უცხოური ვალუტით განხორციელებული ოპერაციები

ფინანსური მდგომარეობაში წარმოდგენილი მუხლები შეფასებულია იმ ეკონომიკურ გარემოში ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაციასა და ანგარიშსწორების წარდგენის თარიღისათვის არსებული გაცვლითი კურსით.

მოკლევადიანი აქტივები:

1. ფულადი სახსრები – ბალანსში მოცემულია საბანკო ანგარიშებზე განთავსებული ფულად სახსრები.
2. მოთხოვნები მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარდგენილია ბრუტო ღირებულებით და მოიცავს მოთხოვნებს საიჯარო მომსახურებიდან.
3. გადახდილი ავანსები - შედგება მომწოდებლებზე გადახდილი ავანსებისგან.
4. სხვა მიმდინარე აქტივები - შედგება საპენსიო აქტივისგან.
5. მარაგები - შედგება რემონტზე გასაწევი მასალებისგან.

გრძელვადიანი აქტივები:

6. საინვესტიციო ქონება,

საინვესტიციო ქონება	მიწა	ნაგებობები	შენობები	სულ
ისტორიული ღირ-ბა 2020 წელი	1,644,100	329,774	4,930,750	6,904,624
შექმნა 2021 წელი		58151		58,151
ცვეთა 2021 წელი				0
გაყიდვა/ჩამოწერა 2021 წელი				0
ნარჩენი ღირ-ბა 2021 წელი	1,644,100	387,925	4,930,750	6,962,775

დირექტორი
ხელმოწერა



შპს მუხიანი
ფინანსური ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

2021 წლის იანვარში მოეწყო პარკინგის ტერიტორია, რომლის ღირებულებამაც შეადგინა 58 151 ლარი. პარკინგის მოწყობას მოხმარდა 2020 წელში შეძენილი მარაგები.

7. არამატერიალური აქტივები

შენიშვნა 6 - არამატერიალური აქტივები	
ისტორიული ღირ-ბა 2020 წელი	417
შეძენა 2021 წელი	
ცვეთა 2021 წელი	200
გაყიდვა/ჩამოწერა 2021 წელი	
ნარჩენი ღირ-ბა 2021 წელი	217

8. ძირითადი საშუალებები ბალანსში წარდგენილია ნარჩენი საბალანსო ღირებულებით, რომელიც ტოლია ისტორიულ ღირებულებას მინუს აკუმულირებული ცვეთა. ცვეთა ძირითად საშუალებებს ერიცხება წრფივი მეთოდით, ძირითადი საშუალების სავარაუდო გამოყენების პერიოდის მიხედვით.

შენიშვნა 7 ძირითადი საშუალებები (ავეჯი და სხვა ინვენტარი)	
ისტორიული ღირ-ბა 2020 წელი	17 866
შეძენა 2021 წელი	
ცვეთა 2021 წელი	2 570
გაყიდვა/ჩამოწერა 2021 წელი	
ნარჩენი ღირ-ბა 2021 წელი	15 296

ვალდებულებები

ვალდებულებები შედგება ვალდებულებისგან მოწოდებიდან და მომსახურებიდან, მიღებული ავანსები, საგადასახადო ვალდებულებისგან და სხვა ვალდებულებებისგან.

9. გამოუმუშავებელი შემოსავალი შედგება: მყიდველებისგან მიღებული ავანსებისაგან (საიჯარო ხელშეკრულებების საფუძველზე).

დირექტორი
ხელმოწერა -----



შპს მუხიანი
ფინანსური ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

საკუთარი კაპიტალი

10. გაუნაწილებელი მოგება/ზარალი, შედეგა წინა წლების აკუმულირებული და მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალისაგან, აგრეთვე საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულებით შეფასების შედეგად მიღებული შედეგისგან.

გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	888 693	878 766
გადაფასების შედეგად მიღებული შედეგი	6 193 953	6 193 953
სულ კაპიტალი	7 082 646	7 072 719

11. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები:

ბანკის ხარჯი	1,051
დაზღვევა	23,615
იურიდული მომსახურების ხარჯი	28,938
საპენსიო ანარიცხი	283
ბუღალტრული მომსახურების ხარჯი	11,000
ქონების გადასახადი (გარდა მიწისა)	53,062
მიწის გადასახადი	2,078
სხვა საერთო ხარჯი	1,208
რემონტის ხარჯი	1,316
არასაოპერაციო ზარალი	9
ზარალი კურსთაშორის სახაზიდან	3,842
სულ	126,402

ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა - სხვა ბიზნესების მსგავსად, კომპანია დგება სხვადასხვა რისკის წინაშე ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. ეს შენიშვნა აღწერს კომპანიის მიზნებს, პოლიტიკასა და პროცესებს, რათა მართოს აღნიშნული რისკები და წარმოადგენს მეთოდებს მათ შესაფასებლად.

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები - კომპანიის ძირითადი ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სესხებს და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს. ამ ფინანსური ინსტრუმენტების მთავარი დანიშნულებაა კომპანიას ოპერაციების დაფინანსება. კომპანიას სხვადასხვა ფინანსური აქტივები გააჩნია, როგორებიცაა ფული და ფულის ექვივალენტები, სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.

ფინანსური აქტივები	31.12.2021	31.12.2020
დებიტორული დავალიანება	62 648	74 725
ფული და ფულადი ექვივალენტები	17 746	32 938
სულ ფინანსური აქტივები	80 394	107 663

დირექტორი
ხელმოწერა -

შპს მუხიანი
ფინანსური ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ფინანსური ვალდებულებები	31.12.2021	31.12.2020
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	6180	1 453
სასესხო ვალდებულებები	16096	
სულ ფინანსური ვალდებულებები	22 276	1 453

კომპანიას ფინანსურ ინსტრუმენტებზე მოქმედი ძირითადი რისკებია სავალუტო, საპროცენტო, საკრედიტო და ლიკვიდობის რისკები.

საკრედიტო რისკი - საკრედიტო რისკი არის ის, რომ კლიენტი აღმოჩნდება გადახდისუნარო მდგომარეობაში ან დროულად ვერ დაფარავს კომპანიას მიმართ არსებულ დავალიანებას, რაც კომპანიას ფინანსურ დანაკარგს გამოიწვევს.

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება, რომელიც გაუფასურების ხარჯის გამოკლებით აღირიცხება, წარმოადგენს კომპანიაზე საკრედიტო რისკის მაქსიმალურ ზემოქმედებას.

ფინანსური აქტივები	31.12.2021	31.12.2020
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	62 648	74 725
ფული და ფულადი ექვივალენტები	17 746	32 938
მაქსიმალური საკრედიტო რისკი	80 394	107 663

ლიკვიდობის რისკი - ლიკვიდობის რისკი არის რისკი იმისა, რომ კომპანია ვერ შეძლებს დაფარვის ვადის დადგომისას ყველა ვალდებულების გადახდას.

ქვემოთ მოცემულ ცხრილებში ნაჩვენებია კომპანიას არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებების ნარჩენი საკონტრაქტო დაფარვის ვადები, დაფარვის შეთანხმებულ პერიოდებთან ერთად, 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით. ცხრილში მოცემულია როგორც საპროცენტო ფულადი ნაკადების, აგრეთვე ძირითადი თანხების ფულადი ნაკადების მოძრაობა.




შპს მუხიანი
ფინანსური ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ლიკვიდურობის შედარებითი ანალიზი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	3 თვეზე ნაკლები	3-დან 6 თვემდე	6-დან 12 თვემდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ მოთხოვნი თანხის გადინება
აქტივები						
ფული და ფულადი ექვივალენტები	17 746	-	-	-	-	17 746
დებიტორული დავალიანება	62 648	-	-	-	-	62 648
ვალდებულებები						
კრედიტორული დავალიანება	(6180)	-	-	-	-	(6180)
სასესხო ვალდებულებები	(3217)	(3342)	(7065)	(2472)	-	(16 096)
ლიკვიდურობის პოზიცია	70 997	-	-	-	-	58 118

ლიკვიდურობის შედარებითი ანალიზი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	3 თვეზე ნაკლები	3-დან 6 თვემდე	6-დან 12 თვემდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ მოთხოვნი თანხის გადინება
აქტივები						
ფული და ფულადი ექვივალენტები	32 938	-	-	-	-	32 938
დებიტორული დავალიანება	74 725	-	-	-	-	74 725
ვალდებულებები						
კრედიტორული დავალიანება	(1 453)	-	-	-	-	(1 453)
სასესხო ვალდებულებები	-	-	-	-	-	0
ლიკვიდურობის პოზიცია	106 210	-	-	-	-	106 210

დირექტორი
ხელმოწერა




შპს მუხიანი
 ფინანსური ანგარიშგება
 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

საპროცენტო განაკვეთის რისკი - საპროცენტო განაკვეთის რისკი არის რისკი იმისა, რომ მცურავი (არაფიქსირებული) საპროცენტო განაკვეთის ცვლილება უარყოფითად აისახება კომპანიას ფინანსურ შედეგებზე. კომპანიაზე შეზღუდული საპროცენტო განაკვეთის რისკი ვრცელდება, რადგან იგი სახსრებს სესხულობს მხოლოდ ფიქსირებული განაკვეთებით.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	სულ
აქტივები				
ფული და ფულადი ექვივალენტები	17 746			17 746
დებიტორული დავალიანება	62 648			62 648
ვალდებულებები				
კრედიტორული დავალიანება	(6180)			(6180)
სასესხო ვალდებულებები	(16 096)			(16 096)
	58 118	-	-	58 118

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	სულ
აქტივები				
ფული და ფულადი ექვივალენტები	32 938			32 938
დებიტორული დავალიანება	74 725			74 725
ვალდებულებები				
კრედიტორული დავალიანება	(1 453)			(1 453)
სასესხო ვალდებულებები				
	106 210	-	-	106 210

დირექტორი

ხელმოწერა -----



სავალუტო რისკი - სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ კომპანიას ფინანსურ შედეგებზე უარყოფით ზეგავლენას იქონიებს იმ ვალუტის გაცვლითი კურსების ცვლილება, რომლითაც კომპანია სარგებლობს. კომპანიას ზოგიერთი ტრანზაქცია უცხოურ ვალუტაშია დაფიქსირებული. უცხოური ვალუტის რისკდამოკიდებულების სამართავად წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები არ გამოიყენება.

გაუთვალისწინებელი გარემოებები

სასამართლო დავა - ბიზნესის ჩვეულებრივი ფუნქციონირების პირობებში ორგანიზაციის მიმართ შესაძლოა განხორციელდეს სამართლებრივი ქმედებები, დავები და საჩივრები. ხელმძღვანელობა თვლის, რომ მაქსიმალური ვალდებულება, რაც კი შეიძლება წარმოიშვას ასეთი დავების შედეგად (თუკი საერთოდ წარმოიშვა), არ იქონიებს მნიშვნელოვან გავლენას ფინანსურ ან მომავალ საოპერაციო შედეგებზე.

2021 წლის პერიოდში მიმდინარეობდა და 2022 წლის განმავლობაშიც გრძელდება კომპანიის დამფუძნებლებს შორის სასამართლო დავა, სადაც მოპასუხედ არიან დამფუძნებლებიც და კომპანიაც. კომპანიის ხელმძღვანელების აზრით, რაიმე არსებით ზარალი არ არის მოსალოდნელი.

დაბეგვრის გაუთვალისწინებელი გარემოებები - საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხშირად იცვლება მისი საკანონმდებლო და ოფიციალური დებულებები, სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლებიც ხშირად ბუნდოვანია, წინააღმდეგობრივია და მათი ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარად წარმოებს. საგადასახადო ხანდაზმულობის ვადაა 3 წელი. აღნიშნული გარემო საქართველოში ქმნის საგადასახადო რისკებს, რომლებიც უფრო არსებითია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ იგი ადექვატურად ასრულებს საგადასახადო ვალდებულებებს, ხელმძღვანელობს რა საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციების, ოფიციალური აქტებისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების შესაბამისად და დამატებითი ანარიცხები არ შეუქმნია. მიუხედავად ამისა, შესაბამის ორგანოებს, შესაძლოა ჰქონდეთ სხვა ინტერპრეტაციები და მათი ინტერპრეტაციების წარმატებით აღსრულების შემთხვევაში ფინანსურ ანგარიშგებაზე ზეგავლენა შესაძლებელია იყოს მნიშვნელოვანი.

საოპერაციო გარემო - საქართველო, როგორც განვითარებადი ბაზარი ხასიათდება ისეთი რისკებით, რომლებიც არ არსებობს განვითარებულ ბაზარზე, მათ შორის ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური, იურიდიული და საკანონმდებლო რისკებით. წესები და კანონები, რომლებიც გავლენას ახდენს ბიზნესზე საქართველოში, კვლავ ექვემდებარება სწრაფ ცვლილებებს. საქართველოში საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობის ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. საქართველოს მომავალი ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ხელისუფლების მიერ განხორციელებულ ეკონომიკურ, ფისკალურ და ფულადი ღონისძიებების ეფექტურობაზე, საკანონმდებლო, რეგულირების და პოლიტიკური მოვლენების პარალელურად.

ბოლო ორი წლის განმავლობაში საქართველოში რამდენიმე საკანონმდებლო ცვლილება განხორციელდა, რაც დიდწილად ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებასთან იყო დაკავშირებული. 2019 და 2017 წლების განმავლობაში

შპს მუხიანი
ფინანსური ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

მომხდარი საკანონმდებლო ცვლილებები მხოლოდ დასაწყისია საქართველოს ევროკავშირში გაერთიანების მისწრაფებებით გამოწვეულ სამომავლო ცვლილებებში.

ხელმძღვანელობა უძლურია, განსაზღვროს ყველა ის მოვლენა, რომელმაც შეიძლება იმოქმედოს როგორც საოპერაციო სექტორზე, აგრეთვე მთლიანად ეკონომიკაზე და შესაბამისად, დაადგინოს, თუ რა ეფექტი ექნება მათ კომპანიის სამომავლო ფინანსურ მდგომარეობაზე. ხელმძღვანელობის აზრით, ის ყველა აუცილებელ ზომას იღებს კომპანიას ბიზნესის მდგრადობისა და განვითარების უზრუნველსაყოფად.

საწარმოს უწყვეტობის განხილვა

მენეჯმენტი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განიხილავს საწარმოს უწყვეტობასთან დაკავშირებულ საკითხებს, რათა დარწმუნდეს, რომ ფინანსური ანგარიშგების წარდგენა საწარმოს უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე სამართლიანია. მენეჯმენტი მიიჩნევს და დარწმუნებულია, რომ ორგანიზაციის უწყვეტ ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება და არც თვითონ აქვთ ორგანიზაციის ლიკვიდაციის ან საქმიანობის მნიშვნელოვანი შეზღუდვის გეგმები.

